საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახეთის კავკასიონი

კახეთის კავკასიონი, კავკასიონის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთი საქართველოს ფარგლებში. იწყება მწვ. დიდი ბორბალოდან და მთავრდება მწვ. ტინოვროსოსთან. ჩრდ. საზღვარი მიუყვება კ. კ-ის ალპურ ლანდშაფტიან თხემს, ხოლო სამხრეთი საზღვარი – მთისწინეთს. მოიცავს მდ. ალაზნის ზემო დინების ხეობას (პანკისის ხეობა), ალაზნის - მარცხ. შენაკადებისა და ილტოს (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) აუზებს. აგებულია ძირითადად ქვედა და შუაიურული ასაკის თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების ინტენსიურად დანაოჭებული წყებებით. ქვემო კალთებზე აქა-იქ ცარცული სისტემის ნალექებია. მდ-ების – დიდხევის, სტორისა და ლოპოტის ხეობებში გავრცელებულია პალეოზოური გრანიტოიდები, კრისტ. ფიქლები და მარმარილო. მთავარი წიაღისეულია მარმარილო (ლოპოტის მარმარილოს საბადო), მინერ.-სამკურნ. წყალი (თორღვას აბანო). კ. კ-ის რელიეფში გაბატონებულია მთავარი ქედის მოკლე, ციცაბო, ეროზიული განშტოებები და მდინარეთა ღრმა გარდიგარდმო ხეობები. კ. კ-ის თხემური ზოლის დას. ნაწილში შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების კვალი. უმაღლესი მწვერვალებია: შავი კლდე (3578 მ), ტინოვროსო (3374 მ), ნინიკასციხე (3116 მ), გველისმთა (3089 მ), ყადორი (2866 მ).

კ. კ-თვის დამახასიათებელია ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა დაწყებული ზომიერად ნოტიო, ზომიერად თბილიდან დამთავრებული მაღალმთის ზაფხულს მოკლებული ჰავით. მდ-ებს ახასიათებს წყალმოვარდნა და ღვარცოფი, წყალდიდობა – აპრილ–ივნისში, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში. სუბალპ. და ალპ. ზონაში არის მცირე ზომის ტბები: გრძელი ტბა, ნახევარტბა, მართოთი (მ ა რ ტ ო ტ ბ ა) და სხვ. კ. კ-ის ქვემო კალთებზე, მთის ტყის ყომრალ ნიადაგებზე, განვითარებულია მუხნარ-რცხილნარი, რ-საც ურევია წიფელი, წაბლი, ცაცხვი და სხვ. ზემო კალთებზე, ღია ფერის და გაეწრებულ ტყის ყომრალ ნიადაგებზე, გაბატონებულია წიფლის ტყე. მასში შერეულია რცხილა, ნეკერჩხალი და სხვ. კ. კ-თვის დამახასიათებელია კოლხეთისა და ჰირკანის

მცენარეულობის რელიქტები: ძელქვა, ბზა, თალიშური სურო და სხვ. ტყის ზონის ზემოთ არყის ტანბრეცილი ტყეებია, აგრეთვე გვხვდება ცირცელი, ბოკვი. უფრო ზემოთ (2400–2500 მ-იდან) მთის კორდიან და კორდიან-ტორფიან ნიადაგებზე გავრცელებულია სუბალპ. და ალპ. ბალახეულობა, რ-საც იყენებენ საძოვრებად. ჩრდ. ექსპოზიციის კალთებზე დეკიანებია. კ. კ-ზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიოჰავიანი შერეული ფართოფოთლოვანი მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტები. კ. კ-ზე არის ლაგოდეხისა და ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები.

დ. უკლება